

#### **მუხლი 14. ტესტირება**

1. ტესტირებაზე დაიშვებიან ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პირველი ეტაპი (კანდიდატთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა).
2. ტესტის ფორმას, შეფასების კრიტერიუმებს და აუცილებელ ქულათა მინიმალურ ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო – საატესტაციო კომისია;
3. დადებითი შეფასების მისაღებად კანდიდატმა უნდა დააგროვოს კომისიის მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა მინიმალური რაოდენობა მაინც.
4. ტესტირების ჩატარების მეთოდიკა, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით.

#### **მუხლი 15. გასაუბრება**

1. გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მეორე ეტაპი (ტესტირება).
2. გასაუბრებაზე დაშვებულ კონკურსანტთა სიას გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით აქვეყნებს კომისია, გასაუბრების დაწყებამდე 2 დღით ადრე.
3. კომისიამ კანდიდატთან გასაუბრებისას შეიძლება გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევების, პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების თაობაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
4. გასაუბრებაზე კონკურსანტები უნდა გამოცხადდნენ დილის 10 საათზე. 10:00–დან 11:00 საათამდე ხდება კონკურსანტთა რეგისტრირება კონკურსანტთა მიერ სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. კონკურსანტთა რეგისტრაციის ჟურნალში კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და დაგვიანებული პირები გასაუბრებაზე არ დაიშვებიან.
5. გასაუბრებაზე გამოცხადებისას კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და კონკურსანტის ფურცელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსანტი გასაუბრებაზე არ დაიშვება.
6. კონკურსანტებს გასაუბრების ოთახში იძახებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტების სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. გასაუბრების ოთახში კონკურსანტები შედიან სათითაოდ.
7. გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიოა თუ არასაპატიო), კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.
8. გასაუბრების დროს კონკურსანტს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.
9. კონკურსანტის მიერ გასაუბრების გავლას თითოეული წევრი აფასებს ინდივიდუალურად. გასაუბრების შედეგები ცალკე არ ჯამდება და კონკურსანტებს არ ეცნობება.

#### **მუხლი 16. კონკურსის შედეგები**

1. კომისია კონკურსის შედეგებს განიხილავს სხდომაზე კანდიდატების დაუსწრებლად.
2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატი ფასდება ინდივიდუალურად და ივსება კანდიდატის შეფასების ფორმა.